



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დუდუჩავა როლანდ ვალერიანის ძე

დუდუჩავა როლანდ ვალერიანის ძე (დ. 12. II. 1945, თბილისი), მათემატიკოსი. მათ. მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1989).

დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1968), 1970-იდან მუშაობდა ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე, 1973-2004 – თსუ-ის გამოყენებითი მათ. და მექანიკა-მათ. ფაკ-ტებზე, 2002-იდან – ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტში მათ. ფიზიკის განყ-ბის გამგეა.

1993-2004 იყო მიწვეული პროფესორი გერმანიის სხვადასხვა უნ-ტში, 2004-07 დიფერენციალური გეომეტრიის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელია ბაარლანდის (ზაარბრიუკენი, გერმანია) უნ-ტში. 2007-09 მუშაობდა ევრო-კავკასიურ ქართ.- გერმ. უნ-ტში. თანამშრომლობს რენეს (საფრანგეთი), ავეიროს (პორტუგალია), ამსტერდამის (ჰოლანდია), სანქტ-პეტერბურგის (რუსეთი) და სხვ. უნ-ტებთან.

2000-02 სამეცნ. კონტრაქტით მუშაობდა აეროკოსმოსურ ფირმასთან „დორნიე“ (დაიმლერ-კრაისლერი). მინიჭებული აქვს საპატიო პროფესორი-მერკატორის წოდება და გერმანიის სამეცნ. საზ-ბის ჰუმბოლდტის პრიზი (2002). არის რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი.

1997-2001 და 2009-იდან აირჩიეს საქართვე. მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტად. დ-ს სამეცნ. ინტერესების სფეროებია: სასაზღვრო ამოცანები კერძონარმოებულისანი დიფერენც. განტოლებებისათვის, ინტეგრალური განტოლებები, დრეკადობის თეორიის და ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელების ამოცანები, ბოლცმანის არანრფივი

განტოლებები.

თბ.: Integral equations with fixed singularities, Lpz., 1979; On multidimensional singular integral operators, «Journal of Operator Theory», 11, 1984: I. The half-space case, pp. 41–76; II. The case of manifolds, pp. 199–214; Asymptotics without logarithmic terms for crack problems, «Communications in Partial Differential Equations», 28, 2003, (თანაავტ.: M. Costabel, M. Dauge).
